სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-02/178

ქ. თბილისი

28 ნოემბერი 2023 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის აკადემიური დეპარტამენტის რეორგანიზაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, სტუ-ს ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანის, ლენა შატაკიშვილის 2023 წლის 31 ოქტომბრის MES 6 23 0001471670 სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 ნოემბრის №01-05-02/29 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე არსებულ №201 - თბოენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის აკადემიური დეპარტამენტს შეეცვალოს სახელი და ეწოდოს „თბოენერგეტიკის, ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და ენერგოაუდიტის აკადემიური დეპარტამენტი №201;“
2. მოწონებული იქნეს ფაკულტეტის აკადემიური დეპარტამენტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით წარმოდგენილი ცვლილებები ფაკულტეტის საშტატო განრიგში და დებულებაში.
3. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
4. წარმომადგენლობით საბჭოზე (სენატი) საკითხის გატანა დაევალოს ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ ლენა შატაკიშვილს.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**